საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 237

2011 წ. "08" 09

ქ. თბილისი

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34 ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8500-ით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის №20 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
გაიანე სიმონია